პროგრამა
უსაფრთხო ონლაინი: ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში

ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გენდერული ნიშნით ძალადობა **(TFGBV):** ფორმები, მონაცემთა კონფიდენციალურობა, უსაფრთხოების და სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერება.

დოქტორი ლელა მირცხულავა
უსაფრთხოების/ტექნოლოგიების სპეციალისტი

11 აპრილი 2024

Democracy, Human Rights, and Labor
U.S. DEPARTMENT of STATE

MERCY CORPS

გზა მომავლისკენ

- ***გაერომ*** განაცხადა, რომ *ინტერნეტი უკვე ადამიანთა უფლებების ჩამონათვალშია.* კონკრეტულად, *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლს* დაემატა შემდეგი ჩანაწერი: *„ყველას აქვს უფლება ჰქონდეს აზრისა და გამოხატვის თავისუფლება; ეს უფლება მოიცავს საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლებას ყოველგვარი ჩარევის გარეშე და ასევე მოიძიოს, მიიღოს და გავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით შეზღუდვების მიუხედავად“.*

- ***გლობალური*** და ***ღია ინტერნეტი*** *არსებითად მნიშვნელოვანია* ***მდგრადი განვითარების მიზნების 2030 (Sustainable Development Goals)*** *მისაღწევად, რაც აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლით და დემონსტრირებულია როგორც ქვეყნების, ასევე ორგანიზაციების მიერ.*

ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გენდერული ძალადობის (TFGBV) განმარტება „გაეროს ქალები“-ს და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ

“ძალადობის აქტი, ჩადენილი

ერთი ან მეტი პირის მიერ, რაც

რაც მძიმდება ინფორმაციული და საკომუნიკაციო

ტექნოლოგიების ან სხვა ციფრული საშუალებების გამოყენებით,

და რასაც შედეგად მოყვება ან სავარუდოდ მოყვება

ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური

სოციალური, პოლიტიკური ან ეკონომიკური ზიანი ან

უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა“.

YOU ARE NOT ALONE

რა არის ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გენდერული ნიშნით ძალადობა ანუ TFGBV ?

TFGBV-ის განმარტება UNFPA-ის მიერ!

TFGBV არის ძალადობრივი აქტი კონკრეტული პირის თუ პირების მიმართ, ჩადენილი ან განხორციელებული ერთი ან მეტი პირის მიერ ICT (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) ასევე ციფრული მედიის სრული თუ ნაწილობრივი გამოყენებით.

Are you experiencing technology-facilitated gender-based violence? (youtube.com)

UNFPA - გაეროს მოსახლეობის ფონდი

MERCY CORPS

TFGBV და ონლაინ ძალადობა

ონლაინ გენდერული ნიშნით ძალადობა

TFGBV არის ძალადობის ნებისმიერი ფორმა, რომელიც განხორციელებულია ან ჩადენილი ტექნოლოგიების ან ციფრული ინტერფეისების გამოყენებით - კონკრეტულად ინტერნეტის ან ჭკვიანი მოწყობილობების მეშვეობით, რომლებიც ***სამიზნეს ირჩევენ გენდერული ნიშნის, სქესის და სექსუალური ორიენტაციის მიხედვით.***

ონლაინ ძალადობა

საყოველთაოდ ცნობილი, როგორც კიბერძალადობა ანუ ძალადობა ტექნოლოგიების გამოყენებით არის ძალადობის ფორმა, რომელიც ხორციელდება კომპიუტერული სისტემების გამოყენებით **ცალკეულ ინდივიდებზე ძალადობის, შევიწროების ან დაშინების მიზნით**, რაც იწვევს (ან შესაძლოა გამოიწვიოს) ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ ან ეკონომიკურ ზიანს ან ტანჯვას, დაფუძნებულს მსხვერპლის გარემოებებიდან თუ დაუცველობიდან გამომდინარე.

MERCY CORPS

გენდერული ძალადობა vs ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა

❑ **დიდი ხანია აღიარებულია, რომ გენდერული ძალადობა შესაძლოა მოიცავდეს შემდეგი სახის ძალადობებს:**

- ფიზიკური
- სექსუალური
- ფსიქოლოგიური
- ეკონომიკური

❑ **სულ უფრო და უფრო აღიარებენ, რომ ძალადობის ეს ფორმები შესაძლოა ხელშეწყობილი იქნას ტექნოლოგიების გამოყენებით და მას შეუძლია მოახდინოს ძალადობის მზარდი ფორმების ფასილიტირება, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:**

- პირადი/ინტიმური სურათების უნებადრთვო გაზიარება
- პირადი კომუნიკაცია ან პერსონალური მონაცემები
- სექსუალური ძალადობა სურათების მეშვეობით
- ონლაინ ძალადობა
- ტექნოლოგიებით ხელშეწყობილი ძალადობა
- ტექნოლოგიის სხვადასხვა ფორმების გამოყენება თვალთვალისა და დევნისათვის
- მიზანმიმართული ჰაკერობა

MERCY CORPS

რა არის TFGBV-ის ძირითადი ფაქტორები?

TFGBV-ისთვის დამახასიათებელია ორი ძირითადი ფაქტი:

- **გენდერულობა** - ქალები და გოგონები ხდებიან თავდასხმის ობიექტები მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქალები და გოგონები არიან.

- **TFGBV უფრო ფართო მცნებაა**, ვიდრე ონლაინ ძალადობა და მიუხედავად იმისა, რომ მოქმედების არეალი ონლაინ სივრცეა, ის ასევე შეიძლება განხორციელდეს:

  - ახალი და ასევე ძველი ტექნოლოგიის გამოყენებით, როგორიცაა ტელეფონები
  - GPS თვალთვალის მოწყობილობები
  - დრონები
  - ჩამწერი მოწყობილობები, რომლებიც ჩართული არ არიან ინტერნეტში.

ვირტუალური სამყარო რეალურია!!!

MERCY CORPS

როგორ გამოიყურება TFGBV რეალურ ცხოვრებაში?

.

TFGBV-ის მრავალი ფორმა არსებობს, მათ შორის აღსანიშნავია:

- ✓ ონლაინ გენდერული და სექსუალური შევიწროება;
- ✓ კიბერსტალკინგი ანუ კიბერადევნება;
- ✓ გამოსახულებების ბოროტად გამოყენება, ღრმა ფეიკები ან გენიტალიების არასასურველი გამოსახულებების სხვა პირისთვის გაგზავნა;
- ✓ სექსუალური ძალადობა ტექნოლოგიების გამოყენებით ანუ სექსტორაცია (შანტაჟი სექსუალური ინფორმაციის, ფოტოების ან ვიდეოების გამოქვეყნების მუქარით);
- ✓ ონლაინ გრუმინგი სექსუალური ძალადობის მიზნით;
- ✓ დოქსინგი (პირადი ინფორმაციის გამოქვეყნება);
- ✓ დაჰაკვა - ადამიანების მანიპულირება;
- ✓ სექსუალური იმიტაცია;
- ✓ სამიზნეების ძიება და ტექნოლოგიის გამოყენება გადარჩენილების მოსაძებნად ძალადობის განსახორციელებლად;
- ✓ სიძულვილის ენა - მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ხელს უწყობს, პროვოცირებას უწევს, ან ამართლებს ქსენოფობიას, რასობრივ შუღლს, ანტისემიტიზმს, შეუწყნარებლობას.
- ✓ ცილისწამება;
- ✓ გადარჩენილების ტექნოლოგიებთან წვდომის შეზღუდვა ან კონტროლი.

MERCY CORPS

ნოახ ჰარარის თქმით, მომავალში ადამიანის გონების სრულად "დაჰაკვა" იქნება შესაძლებელი

"ადამიანის დაჰაკვა ნაწილობრივ დღესაც ხდება, როდესაც ზოგ შემთხვევაში კომპანიებმა უკეთ იციან რა გსურთ, ვიდრე ეს თქვენ თავად. სწორედ ამის ხარჯზე კორპორაციები ადამიანებით მანიპულირებენ", — ამბობს ჰარარი.

MERCY CORPS

საშიში მონაცემები

საქმე ეხება კომპანიებს, რომლებიც თავიანთი მომხმარებლების მონაცემებს აგროვებენ და ამუშავებენ. ჰარარი წუხს, რომ ადამიანები სულ უფრო ხშირად ანდობენ პირად ცხოვრებას კერძო კომპანიებს.

> "მაგალითად, Netflix გვეუბნება თუ რას ვუყუროთ, ხოლო Amazon გვიბიძგებს იმისკენ თუ რა უნდა ვიყიდოთ. **ასეთი ტემპებით, საბოლოოდ, 10, 20 ან 30 წელიწადში, მსგავსი ალგორითმები ასევე გეტყვიან, რა უნდა ისწავლო კოლეჯში და სად იმუშაო, ვისზე დაქორწინდე და თუნდაც ვის მისცე ხმა**", — ამბობს ჰარარი.

ძირითადი სტატისტიკა ტოპ ციფრულ პლატფორმებზე

ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გენდერული ნიშნით ძალადობის გავრცელებული ტოპ ციფრული პლატფორმებია:

- ტიკტოკი – 40%
- ინსტაგრამი - 20%
- YouTube, Reddit, and Social gaming platforms - 10%

ციფრული ინკლუზია & უსაფრთხოება

ციფრული ინკლუზია შეუძლებელია ციფრული უსაფრთხოების გარეშე![1]

ანუ

- ციფრული პროდუქტებით სარგებლობა შეუძლებელია მომხმარებლების უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფის გარეშე.

- ინტერნეტისა და ციფრული პროდუქტების გავრცელებამ გამოავლინა უზარმაზარი შესაძლებლობა ქალებისა და გოგონებისათვის თანაბარი მომავლის შესაქმნელად.



https://blog.wetrust.io/how-digital-identity-will-power-financial-inclusion-69be0d0a0cb0

MERCY CORPS

ციფრული ინკლუზია & TFGBV

- **ციფრული სამყარო** -

  - ერთის მხრივ, *სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სივრცეს სთავაზობს ქალებს*, რომლებსაც აქვთ თვითგამოხატვის სურვილი და ეძებენ შესაძლებლობებს მიიღონ საბაზისო განათლება და გარკვეულ სერვისებზე წვდომა,

  - მეორეს მხრივ, *არის ვექტორი დამნაშავეებისა და მოძალადეებისთვის* (იგულისხმება ცალკეული პირები, ჯგუფები და კოლექტივები), მიზანმიმართული ქალებისა და მოზარდი გოგონების მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის განსახორციელებლად.

რა გავლენას ახდენს TFGBV ?

1

ციფრული სამყარო არის რეალური სამყარო!

- TFGBV ხშირად აღიქმება, როგორც ნაკლებად მძიმე ან ნაკლებად საზიანო ფენომენი, ვიდრე ოფლაინ ძალადობის ფორმები, მაგრამ კვლევა აჩვენებს, რომ მას მოყვება მძიმე შედეგები, *რაც ცუდად აისახება ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობაზე, სიცოცხლეზე და ასევე მათ მომავალზე.*

- TFGBV ასევე ხშირად იწვევს ოფლაინ ძალადობას, რაც ძალზე *საშიშ საფრთხეს უქმნის ქალთა და გოგონების უსაფრთხოებასა და ფიზიკურ შეუხებლობას.*

2

- ***TFGBV-ის გავლენა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე მძიმეა:***
  - სტრესი;
  - შფოთვა;
  - დეპრესია;
  - პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა;;
  - სუიციდური აზრები;

როგორც წესი, სუიციდზე ინფორმაციას ავრცელებენ თვით გადარჩენილები !!!

3

- ***TFGBV აიძულებს ქალებს იყვნენ ჩუმად ონლაინ სივრცეში***, რაც ამცირებს მათ მონაწილეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, დემოკრატიულ პროცესებში და განსაკუთრებით, ლიდერის როლში.

- *TFGBV აძლიერებს პატრიარქალურ როლებს, ნორმებსა და სტრუქტურებს და ქმნის მთავარ ბარიერს გენდერული თანასწორობისა და მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.*

MERCY CORPS

TFGBV, როგორც კიბერძალადობა

- **TFGBV**, რომელიც ხშირად მოიხსენიება, როგორც ***კიბერძალადობა*** ან ***ონლაინ ძალადობა***, არის *საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ადამიანთა უფლებების გლობალური პრობლემა*, რომელიც გავლენას ახდენს:

  - ცალკეული პირების უსაფრთხოებაზე
  - მათ კეთილდღეობაზე
  - უარყოფითად მოქმედებს მთლიან საზოგადოებაზე.

MERCY CORPS

რატომ არის კიბერძალადობა გენდერული?

- **კიბერძალადობა** არის ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის უწყვეტი ნაწილი და წარმოადგენს ძალადობის და გაჩუმების კიდევ ერთ ფორმას, რომელიც ჩაშენებულია არსებული გენდერული ძალაუფლების სტრუქტურებში.

- ასევე, არსებობს კიბერძალადობის მრავალი ფორმა, რომელიც *ექსკლუზიურად მხოლოდ ქალებისა და გოგოებისკენ არის მიმართული.*

- EIGE-ს კვლევამ გენდერული თანასწორობისა და დიგიტალიზაციის შესახებ ევროკავშირში ხაზგასმით გამოავლინა დიგიტალიზაციის ახალი გენდერული გამოწვევები, მათ შორის ადრეული ასაკის ქალები იყვნენ კიბერძალადობის პოტენციური სამიზნეები.

- ხშირად ციფრული სივრცის მიტოვების შედეგად, კიბერძალადობა დამანგრეველ გავლენას ახდენს ქალთა თავდაჯერებულობაზე, როდესაც საქმე ტექნოლოგიას ეხება, უფრო მეტად რთულდება გენდერული თანასწორობის საკითხების გადაჭრა, როგორიცაა STEM/ICT გენდერული სეგრეგაცია და გენდერული სხვაობა ანაზღაურებაში.

MERCY CORPS

კიბერძალადობის (CVAWG) ფორმები

კიბერ ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ მოიცავს ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც ჩადენილია ICT-ის (ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) საშუალებით გენდერული ნიშნის ან სხვა ფაქტორების კომბინაციით (რასა, ასაკი, შეზღუდული პასუხისმგებლობა, სექსუალობა, პროფესია ან პიროვნული რწმენა).

CVAWG-ის ყველა აქტი:

- იწყება ონლაინ და გრძელდება ოფლაინ, მაგალითად, სამუშაო ადგილზე, სკოლაში ან სახლში;
- იწყება ოფლაინ და გრძელდება სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებზე, როგორიცაა სოციალური მედია, ელფოსტა ან მესინჯერები და ე.წ. ჩათები
- ჩადენილია უცნობ პირთა და/ან ანონიმურ ადამიანთა ჯგუფის მიერ;
- ჩადენილია პირის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ, რომლებიც ცნობილია მსხვერპლისთვის, ისინი შეიძლება იყვნენ (ყოფილი) ინტიმური პარტნიორები, სკოლელები ან თანამშრომლები.

MERCY CORPS

ქალებისა და გოგონების კიბერშევიწროება (Cyber harassment)

- ქალებისა და გოგონების კიბერშევიწროება მოიცავს ერთ ან მეტ ქმედებას, ჩადენილს მსხვერპლის მიმართ *მათი გენდერის, ან სქესის და სხვა რიგი ფაქტორების* (მაგ. რასა, ასაკი, ინვალიდობა, პროფესია, პირადი შეხედულებები ან სექსუალური ორიენტაცია) გამო.

- კიბერ-შევიწროება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს *სოციალური მედიაპლატფორმების, ელ-ფოსტის ან მოკლე ტექსტური შეტყობინებების გამოყენებას* მსხვერპლისთვის მუქარის შემცველი, სექსუალური ხასიათის ან შეურაცხმყოფელი შეტყობინებების გაგზავნის მიზნით.

2019 FRA (ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო)-ს გამოკითხვის თანახმად, ქალების 13%-მა ევროკავშირში, დიდ ბრიტანეთში და ჩრდილოეთ მაკედონიაში განიცადა კიბერშევიწროება წინა 5 წლის განმავლობაში. მსხვერპლნი უფრო ხშირად არიან ახალგაზრდა რესპონდენტები (18-დან 29 წლამდე, ახალგაზრდა ქალების 20%) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

MERCY CORPS

კიბერბულინგი გოგონების წინააღმდეგ

კიბერბულინგი (Cyber Bullying) არის ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ, ციფრული კომუნიკაციის საშუალებით (მობილური ტელეფონი, პლანშეტი, კომპიუტერი, ინტერნეტი და ა.შ.), *სხვა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის დამცირება*, მათ შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელება, *პერსონალური მონაცემების არანებაყოფლობითი გამჟღავნება*, დაცინვა, ადევნება, *შეურაცხყოფა*, *შევიწროება, ემოციური* და *ფსიქოლოგიური ზეწოლა*, *მუქარა*, *დაშინება*, რაც მის/მათ გულისტკენას, გაბრაზებას, შეშინებას და/ან წყენას იწვევს.

კიბერბულინგის ძირითადი პლატფორმებია:

- ✓ სმს/ მოკლე ტექსტური შეტყობინება;
- ✓ ონლაინ მესენჯერი/ჩათი;
- ✓ ელექტრონული ფოსტა;
- ✓ სოციალური მედია;
- ✓ ონლაინ ფორუმი;
- ✓ ონლაინ თამაში.

MERCY CORPS

ონლაინ სიძულვილის ენა გენდერული ნიშნით

- ***ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის*** 1997 წელს მიღებული რეკომენდაციის თანახმად, ***სიძულვილის ენა მოიაზრებს*** გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს *რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებული შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით.*

!!! მნიშვნელოვანია იმ მეთოდების ცოდნა, რომელთაც რადიკალური ჯგუფები საზოგადოებაში შეუწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნისა და სხვადასხვა ჯგუფების მიმართ სიძულვილის გაღვივების მიზნით იყენებენ.

MERCY CORPS

არაკონსენსუალური ინტიმური გამოსახულებების ბოროტად გამოყენება (Non-consensual intimate image abuse)

- არაკონსენსუალური ინტიმური გამოსახულების (NCII) ბოროტად გამოყენება იგგვე ძალადობაა ქალებისა და გოგოების მიმართ, რაც გულისხმობს ქალის ან გოგოს ინტიმური, პირადი და/ან მანიპულირებული სურათების/ვიდეოების გავრცელებას ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიების (ICT) საშუალებებით ან ICT საშუალებებით გავრცელების საფრთხეს სუბიექტის თანხმობის გარეშე.

- ტექნოლოგიური მიღწევები სურათების უფრო და უფრო რეალისტური მანიპულირების საშუალებას იძლევა. ეს შეიძლება განხორციელდეს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, როგორიცაა Photoshop ან ***AI ინსტრუმენტები***, რათა შეიქმნას სინთეტიკური მედია, როგორიცაა ***deepfakes.***

MERCY CORPS

ონლაინ უსაფრთხოება მიღწევადია!

TFGBV ან OGBV პრევენცია ისევე შესაძლებელია, როგორც GBV-ის ნებისმიერი სხვა ფორმა!

- კვლევებმა აჩვენა, რომ ***პრევენციული ძალისხმევა*** მიმართულია ყველა დონეზე, მათ შორის მთავრობებზე, კერძო სექტორზე, ტექნიკურ კომპანიებზე, თემებზე და ინდივიდებზე.

- გადარჩენილთათვის ადეკვატური რეაგირების სერვისებმა შეიძლება აღმოფხვრას OGBV.

!!! მეტი ქალის და გოგონას ჩართვა STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, მათემატიკა, ინჟინერია) სფეროებში; ***ქალების ხელმძღვანელობით*** მოქმედი ***ტექნიკური კომპანიების მხარდაჭერა*** და გენდერის ინტეგრირება ჩვენს ამჟამინდელ ტექნოლოგიურ ეკოსისტემაში, მათ შორის AI (ხელოვნური ინტელექტი), კიდევ უფრო შეუწყობს ხელს გენდერულად ბრმა და გენდერულად მიკერძოებული ტექნიკური ეკოსისტემების დეკონსტრუქციას და საბოლოოდ დაეხმარება ***გენდერული ტრანსფორმაციული ეკოსისტემის შექმნას.***

MERCY CORPS

როგორ შევამციროთ TFGBV?

- TFGBV არ არის მხოლოდ ონლაინ, არამედ გულისხმობს ციფრული პროდუქტებისა და მოწყობილობების გამოყენებას.

- ურთიერთდაკავშირებული მოწყობილობების ან ნივთების ინტერნეტის (IOT) მოწყობილობების მზარდი გამოყენება და მოთხოვნა გვთავაზობს მეტ სარგებელს, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს და ზრდის გარკვეული ამოცანების ეფექტურობას.

!!! IOT მოწყობილობებმა *შეიძლება შეაგროვონ და შეინახონ დიდი რაოდენობით მონაცემები და მეტამონაცემები ქალებისა და გოგონების შესახებ* და გაუზიარონ სხვა პირებს, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ *მონაცემები ქალებისა და გოგონების ადგილსამყოფელის შესახებ, ასევე მოიპოვონ მათი სურათები თუ ვიდეო გამოსახულებები!*

MERCY CORPS

როგორ შევაჩეროთ კიბერბულინგი ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებით?

- AI გვაძლევს უამრავ შესაძლებლობას კიბერბულინგის გამოსავლენად:
  - მანქანური სწავლების (ML) და ღრმა სწავლების (DL) ალგორითმებს შეუძლიათ კიბერბულინგის ***ადრეული ნიშნების ამოცნობა***.
  - ***AI ხელს უშლის კიბერბულინგის შემდგომ გავრცელებას***.
  - AI შესაძლებელს ხდის მსხვერპლს შესთავაზოს ***პერსონალიზებული პოსტ-კიბერბულინგის მკურნალობა***



MERCY CORPS

TFGBV-ის მიერ გამოყენებული ტექნოლოგიები



ცუდი ბოტები



MERCY CORPS

კიბერ თავდასხმები



MERCY CORPS

DDOS თავდასხმები



MERCY CORPS

მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორი მეტა-მონაცემები

- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO)
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)
- გაეროს გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების ბიურო (UN Women)
- გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ბიურო (UN ODC)
- გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)
- გაეროს სტატისტიკის განყოფილება (UNSD)

MERCY CORPS

რა შეიძლება გაკეთდეს TFGBV-ის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით? სხვადასხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მიდგომები.

კანონი და სისხლის სამართალი.

- ✓ ***TFGBV-ის სხვადასხვა ფორმები თუ იქნება განხილული***, როგორც ***დანაშაული***, მაშინ ***კანონი შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი*** მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.
- ✓ მერი ანა ფრანკსი, მაიამის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, აღნიშნავს, რომ „*კანონები, რომლებიც კრძალავენ სტალკინგის (კიბერალევნება*), შევიწროების, გამოძალვის, კომპიუტერული თაღლითობის, პირადი მონაცემების მოპარვისა და მუქარის აკრძალვას, *შეიძლება ძალიან ეფექტური იყოს ონლაინ შევიწროების წინააღმდეგ*, მაგრამ ისინი იშვიათად გამოიყენება, რადგან *კანონაღმსრულებელმა ორგანოებმა არ იციან ან არ აინტერესებთ, ან არ აქვთ გავლილი ტრენინგი ან/და არ აქვთ რესურსი მათ გამოსაყენებლად*“.
- ✓ როდესაც ქალები, რომლებიც ონლაინ შევიწროების წინაშე დგანან, *მიმართავენ პოლიციას* და ესაუბრებიან თავიანთ შემთხვევებზე, მათ ძალიან ხშირად ეუბნებიან, რომ თავდასხმა არის *სამოქალაქო საქმე და არა სისხლის სამართლის*, მიუხედავად იმისა, რომ *არსებობს მოქმედი სისხლის სამართლის კანონები*.

MERCY CORPS

საქართველოში მოქმედი კანონები ...

- **2006** წლიდან მოქმედებს სპეციალური კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“

- **2017** წელს განახორციელდა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროსაბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციის (**სტამბულის კონვენცია**) რატიფიცირება, რამაც განაპირობა ცვლილებების შეტანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და კრიმინალიზებულ იქნა გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული ქმედებები, როგორიცაა:

  - ✓ ოჯახში ძალადობა (**მუხლი 126[1]**);
  - ✓ სტერილიზაცია თანხმობის გარეშე (**მუხლი 133[1]**);
  - ✓ ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება (**მუხლი 133[2]**);
  - ✓ ქორწინების იძულება (**მუხლი 150[1]**);
  - ✓ ადევნება (**მუხლი 151[1]**) და სხვა.

MERCY CORPS

გენდერული

- „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროსაბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციის მიხედვით, **ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით** გულისხმობს:

  - ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე

  - **გენდერული გულისხმობს** სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ძალადობის მახასიათებლები ტექნოლოგიურ საშუალებების გამოყენებით

- **მუხლი 144[3]** (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა)
- **მუხლი 150** (იძულება),
- **მუხლი 151** (მუქარა),
- **მუხლი 151[1]** (ადევნება),
- **მუხლი 157** (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა)
- **მუხლი 157[1]** (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა)
- **მუხლი 158** (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა)
- **მუხლი 159** (პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა) და სხვა

MERCY CORPS

ადევნება

- **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151[1] მუხლით** გათვალისწინებული დანაშაულის - **ადევნების** შემადგენლობა მოიცავს რომ მსგავსი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია განხორციელდეს „ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალების გამოყენებით“, კერძოდ, აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობის მიხედვით, ადევნება გულისხმობს - პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის *უკანონო თვალთვალს*, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარებას ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედებას, რომელიც *სისტემატურად ხორციელდება* და *იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას* ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის“.





პერსონალური მონაცემების ხელყოფა

- **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის პირველი ნაწილის** მიხედვით, სისხლის სამართლის წესით დასჯადია - პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა, კერძოდ, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების:
  - ✓ უკანონოდ მოპოვება
  - ✓ შენახვა
  - ✓ გამოყენება
  - ✓ გავრცელება
  - ✓ ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა
  - ✓ რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია

კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა

- **სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლს** - კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა, აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა არსებითად ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით შესაძლებელია იქნეს ჩადენილი, რაც გულისხმობს:

  - ✓ კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერა ან მიყურადება
  - ✓ აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისას გადაცემული კომპიუტერული მონაცემის ან ამგვარი მონაცემის მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების უნებართვო მოპოვება
  - ✓ ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ შენახვა

MERCY CORPS

პირადი მიმოწერა

- **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლი** სისხლის სამართლის წესით დასჯადად მიიჩნევს შემდეგ ქმედებებს:

  - ✓ პირადი მიმოწერის,
  - ✓ ტელეფონით საუბრის
  - ✓ სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევას
  - ✓ საფოსტო გზავნილის
  - ✓ ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ჩანაწერის
  - ✓ ტელეგრაფით
  - ✓ კომპიუტერული სისტემით
  - ✓ ფაქსით
  - ✓ სხვა ტექნიკური საშუალებით

მიღებული ან გადაცემული შეტყობინების უკანონოდ მოპოვებას, გახსნას, შინაარსის გაცნობას ან შენახვას.

MERCY CORPS

მუხლი 166[1]

- აღსანიშნავია, რომ **საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი** ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას გენდერული ძალადობის ისეთი სახისათვის - როგორიცაა **სექსუალური შევიწროება (მუხლი 166[1]). თუმცა სამართალდარღვევის შინაარსში არ** არის გათვალისწინებული ის გარემოება, როდესაც მსგავსი ქმედება შესაძლებელია ჩადენილი იქნეს მათ შორის **ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით**.

კიბერდანაშაული

- საქართველოს კანონმდებლობა შეიცავს მნიშვნელოვან დებულებებს ტექნოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

- კერძოდ, მიღებულია და მოქმედებს საქართველოს კანონი **„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“**

- **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი** ითვალისწინებს ისეთი კიბერდანაშაულების დასჯადობას, როგორიცაა -

  - ✓ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა (**მუხლი 284)**;
  - ✓ კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება (**მუხლი 285**);
  - ✓ კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა (**მუხლი 286**);
  - ✓ ყალბი ოფიციალური კომპიუტერული მონაცემის შექმნა (**მუხლი 286²**) და სხვა.

MERCY CORPS

რეკომენდაცია

- **ციფრული ტექნოლოგიების** გამოყენება რიგ შემთხვევაში ამარტივებს ცალკეული (მათ შორის გენდერული ხასიათის) დანაშაულების (მაგალითად, მუქარა, იძულება და სხვა) ჩადენას.

- მნიშვნელოვანია მოხდეს მსგავსი საშუალებების მახასიათებლებისა და გენდერული ხასიათის დანაშაულებში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის სისტემური განსაზღვრა.

- განსაზღვრული მახასიათებლების გათვალისწინებით განხორციელდეს შესაბამისი დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის შინაარსის კორექტირება და ციფრული, საინფორმაციო თუ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება აისახოს აღნიშნული დანაშაულების შემადგენლობაში ან მსგავსი საშუალებები მიჩნეული იქნეს აღნიშნული დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ან დამამძიმებელ გარემოებად.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ონლაინ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად?

კანონების და სამთავრობო რეგულაციების არსებობა არის ქალებისა და გოგონების მიმართ *ციფრული საფრთხეების გამკლავების ერთ-ერთი მიდგომა*, მაგრამ ისინი დიდი სიფრთხილით უნდა განხორციელდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუთვალისწინებელი ზიანი.

ციფრულმა ტექნოლოგიებმა, ***დეზინფორმაციიდან ღრმა ფეიკებამდე და კიბერ ბრბომდე***, *წარმოქმნეს ახალი სისუსტეები*, რაც საფრთხეს უქმნის *დემოკრატიულ ცხოვრებას*, სოციალური ჰარმონიასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობას. კიბერუსაფრთხოების ექსპერტების ბრიუს შნაიერისა და ტარა უილერის სიტყვებით: „***დღეს ინტერნეტს აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა*** გლობალური საზოგადოებისთვის. ის ყველაფრის ნაწილია... როგორ მოქმედებენ ინდივიდები, კორპორაციები და მთავრობები კიბერსივრცეში, *გადამწყვეტია ჩვენი მომავლისთვის*. *ინტერნეტი კრიტიკული ინფრასტრუქტურაა*. ის უზრუნველყოფს და აკონტროლებს ხელმისაწვდომობას ჯანდაცვაზე, კოსმოსში, შეირაღებულ ძალებზე, წყალზე, ენერგიაზე, განათლებასა და ბირთვულ იარაღზე. როგორ რეგულირდება ეს არ არის მხოლოდ ის, რაც გავლენას მოახდენს მომავალზე. ეს არის მომავალი. ”

https://www.cigionline.org/articles/what-can-we-do-to-combat-online-gender-based-violence/

MERCY CORPS

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ონლაინ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად?

- იმის გამო, *რომ ტექნიკური და სამეცნიერო ცოდნა და მიმართულებები უმეტესად მამაკაცებზეა ორიენტირებული*, ქალები და გოგონები ამ დაუცველობას განსხვავებულად აღიქვამენ, ვიდრე მამაკაცები და ბიჭები.
- ციფრულ *სამყაროში ქალებს ხშირად ესხმიან თავს მათი გარეგნობისა* და მათი არსებობის გამო, ხოლო *მამაკაცებს თავს ესხმიან თავიანთი იდეებისა და* ქმედებების გამო.
- ქალები ხშირად ხვდებიან, რომ მათი უსაფრთხოება, მათი ჯანმრთელობა, მათი ურთიერთობები და მათი კარიერა შეიძლება იყოს საფრთხის ქვეშ, რასაც მამაკაცები და ბიჭები იშვიათად განიცდიან.
- ***ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გენდერული ნიშნით ძალადობა (TFGBV) ერთ-ერთი ფორმაა.***

MERCY CORPS

მაგალითი: ევროკავშირის ციფრული სერვისების აქტი (DSA)

- ძირითადი საკანონმდებლო ინიციატივის ბოლო მაგალითია **ევროკავშირის ციფრული სერვისების აქტი (DSA). მოცემული** კანონი ავალდებულებს ტექნიკურ კომპანიებს შესთავაზონ ისეთი ოფცია მომხმარებლებს, რომ *გამორთონ სარეკომენდაციო ალგორითმები*, რომლებიც *იყენებენ მათ პერსონალურ მონაცემებს კონტენტის მოსარგებად*.

- Meta-ს, TikTok-ს და სხვებს მოეთხოვებათ DSA-ს ფარგლებში, რათა *მეტი მონაცემები გაუზიარონ უნივერსიტეტის მკვლევარებს და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს იმის შესახებ*, თუ როგორ მუშაობს მათი ალგორითმები.

- **გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით**, კომპანიებს ასევე მოეთხოვებათ ჩაატარონ *რისკის შეფასების ყოველწლიური ანგარიში*, რომელიც განიხილება ***გარე აუდიტის მიერ*** და დასკვნების შეჯამება **საჯარო** გახდება.

MERCY CORPS

სოციალური მედია

სოციალური მედია შექმნილია იმისათვის, რომ იყოს სოციალური. *ზოგიერთი ინფორმაცია* სტანდარტულად ყოველთვის *საჯაროა*, მაგრამ მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს ვინ ნახოს სხვა ინფორმაცია და პოსტები.

რეგულარულად გადახედეთ ვინ არის თქვენი მეგობრების ან მიმდევრების სიაში და იცოდეთ, რომ თქვენი მეგობრების მეგობრებს შეუძლიათ თქვენი პოსტების ნახვა.

უსაფრთხო ვებ დათვალიერება

- გამოიყენეთ *ანტივირუსული პროგრამა*, განაახლეთ იგი და რეგულარულად დაასკანერეთ თქვენი მოწყობილობები.
- *პერიოდულად წაშალეთ ისტორია, ქუქი ფაილები, დროებითი ინტერნეტ ფაილები* და შენახული ფორმები და პაროლები თქვენი ვებ ბრაუზერიდან.
- შეიტყვეთ *მეტი ინტერნეტ ბრაუზერის კონფიდენციალურობის* რჩევების შესახებ.

MERCY CORPS

მონაცემთა კონფიდენციალურობის, უსაფრთხოების და სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერება, შესაბამისად დამნაშავეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით

- გლობალური მასშტაბით მიღწეულია პროგრესი *გენდერული თანასწორობის SDG5-ის* მიმართულებით;

- ციფრული სივრცეების და პროდუქტების ფართო გავრცელებამ საფრთხის ქვეშ დააყენა ეს პროგრესი და მეტიც, შესაძლოა *უკან დახევის რისკის ქვეშ აღმოჩნდეს*, კერძოდ კი ***ქალთა და გოგონათა უფლებები და ასევე დემოკრატიული პრინციპები;***

- როგორც ცნობიერების ამაღლებისა და ასევე რისკის შემცირების მიზნების მისაღწევად, საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, *თუ როგორ იყენებენ ტექნოლოგიურ პროდუქტებს საზოგადოებაში*, რადგან უმეტეს შემთხვევაში არაპროპორციულად და უარყოფითად აისახება ქალებზე, მათ შორის ინტიმურ პარტნიორობაში, თემებში, ონლაინ ფორუმებში, უცხო ადამიანების მიერ და ა.შ.

MERCY CORPS

მონაცემთა კონფიდენციალურობის, უსაფრთხოების და სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერება, შესაბამისად დამნაშავეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით

- მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი გზა TFGBV-ისთან, რომ აღმოიფხვრას *მდგრადი პროგრესი TFGBV-ს დასრულებისკენ* უნდა დაიწყოს იქიდან, თუ როგორ გამოიყენება ტექნოლოგია პრაქტიკაში მასზე საზოგადოების ზემოქმედების გათვალისწინებით.

- მაგალითისათვის თუ ავიღებთ *სოციალური მედიის პლატფორმებს*, როგორც *ტექნოლოგიას*, მნიშვნელოვანია გვესმოდეს:

  - ქალთა რეალიები ამ პლატფორმებზე
  - როგორ იქმნება მათი ცხოვრებისეული გამოცდილება
  - როგორ იყენებენ ისინი და სხვები ტექნოლოგიას

- რაც ქმნის გენდერული ზემოქმედების შემდეგ დონეებს:
  - მიკრო
  - მეზო
  - მაკრო

MERCY CORPS

გენდერული ზემოქმედების მიკრო დონე

- TFGBV უარყოფითად მოქმედებს იმაზე თუ როგორ სარგებლობენ ცალკეული მოქალაქეები ინტერნეტით და ასევე სარგებლიანობაზე.
- ქალები 27-ჯერ უფრო ხშირად განიცდიან შევიწროებას ონლაინ, ვიდრე მამაკაცები და ქალების 92% აცხადებს, რომ ონლაინ ძალადობა უარყოფითად მოქმედებს მათ კეთილდღეობაზე.

MERCY CORPS

გენდერული ზემოქმედების მეზო დონე

- TFGBV უარყოფითად მოქმედებს იმაზე, თუ როგორ იყენებენ ქალები, *განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალები* ციფრულ სივრცეებს *ცნობიერების ასამაღლებლად* და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირებისთვის.

- *ახალგაზრდა ქალების 51 პროცენტი ყოყმანობს* ონლაინ დებატებში ჩართვაზე მას შემდეგ, რაც შეესწრო ან უშუალოდ განიცადა ონლაინ ძალადობა.

- *ჟურნალისტ ქალთა 38%-მა განაცხადა*, რომ ნაკლებად აქტიური გახდა თავის სამუშაო ადგილზე TFGBV-ის შედეგად.

გენდერული ზემოქმედების მაკრო დონე

- TF GBV უარყოფითად მოქმედებს *დემოკრატიულ ლიდერობაზე.*
- *ქალი საზოგადო მოღვაწეები* ბევრად უფრო *მეტად არიან ძალდობის სამიზნეები*, ვიდრე მათი მამრობითი კოლეგები, რაც ძირს უთხრის მათ რეპუტაციას საზოგადოებაში შებამისი მიზანმიმართული კამპანიების მეშვეობით.
- კენიაში პოლიტიკურად აქტიურ ქალებზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 20 პროცენტმა შეაჩერა თავიანთი აქტივობა სოციალურ მედიაში ონლაინ ძალადობის საპასუხოდ.



MERCY CORPS

ეფექტური რეგულირება: კანონისა და პოლიტიკის დანერგვა ანგარიშვალდებულების აღსრულების მიზნით

- *გლობალურმა ციფრულმა შეთანხმებამ* უნდა ურჩიოს მთავრობებს *შეიმუშაონ კანონები და პოლისები* TFGBV-ის წინაღმდეგ, რომელებიც მოიცავს ***TFGBV-ის აღიარებას*** და *მის ინტეგრაციას სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსში*, შესაბამის რეგულაციებსა და *პოლისებში*.

- შემუშავდეს, დაინერგოს და ამოქმედდეს *სამართლებრივი ჩარჩო* აღსრულებული საკონსულტაციო მექანიზმების მეშვეობით, რომელიც *მოახდენს კერძო ტექნოლოგიური კომპანიების რეგულირებას* ასევე *დამნაშავეების პასუხისმგებლობის დაკისრებას.*

- *საკანონმდებლო ჩარჩოები* ადეკვატურად უნდა იცავდეს *ქალთა ყველა უფლებას ინტერნეტ სივრცეში*, მათ შორის თავისუფლად ცხოვრების უფლებას ძალადობის გარეშე, გამოხატვის თავისუფლების, ინფორმაციასთან წვდომის, კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის უფლებებს.

MERCY CORPS

ეფექტური რეგულირება: კანონისა და პოლიტიკის დანერგვა ანგარიშვალდებულების აღსრულების მიზნით

- *კანონი და პოლიტიკა* უნდა შემუშავდეს საკონსულტაციო პროცესების მეშვეობით *ქალთა ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან*, ასევე *ბიზნეს და ტექნოლოგიურ კომპანიებთან* ერთად, რათა გარანტირებულ იქნას მისი ეფექტურობა და ასევე შესაბამისად, აღმოფხვრილ იქნას გაუთვალისწინებელი შედეგები და ასევე თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი სახის ზიანი.

- *TFGBV-ით გამოწვეულ კონკრეტულ ზიანს* უნდა ჰქონდეს კონკრეტული მარეგულირებელი რეაგირება და ანგარიშვალდებულების მექანიზმები.

- გარდა ამისა, **რეგულაცია უნდა მოიცავდეს**, როგორც **თვითრეგულირებას**, *ინდუსტრიულ სტანდარტებს*, ასევე კანონებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას *გადარჩენილებზე ორიენტირებული მიდგომების აღსრულება*.

- უფრო მეტიც, *"არ დააზარალოთ"* მიდგომები გაუთვალისწინებელი შედეგების დასაფიქსირებლად, მათ *შორის კანონების იარაღად გამოყენება ქალების ხმის წინააღმდეგ* და იმის უზრუნველყოფა, რომ გამოხატვის *თავისუფლების ბოროტად გამოყენება არ მოხდეს*, თავის მხრივ, საკმაოდ კრიტიკულია.

MERCY CORPS

ამ მიზნის მისაღწევად რეკომენდაციები ითვალისწინებს ...

1. გამოყოფილი რესურსები ***ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული კანონის, პოლიტიკის, სისტემებისა და პროცესების შემუშავების, დანერგვისა და აღსრულების მიზნით***, რომლებიც შექმნილია სპეციალურად ***TFGBV-ის აღმოსაფხვრელად***. გარდა ამისა, *ნებისმიერი მარეგულირებელი ჩარჩო*, რომელიც შემუშავებულია TFGBV-ის აღმოსაფხვრელად, უნდა იყოს ***გადარჩენაზე ორიენტირებული***, ტრავმის შესახებ ინფორმირებული და ურთიერთდაკავშირებული.

ამ მიზნის მისაღწევად რეკომენდაციები ითვალისწინებს ...

2. გაზრდილი რესურსები მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა (CSOs) და ტექნოლოგიებში კადრების უზრუნველსაყოფად, რათა უზრუნველყონ *კონფიდენციალური მონაცემების უსაფრთხოება* და *პლატფორმის უსაფრთხოება*, მათ შორის, სამართალდამცავი მექანიზმების მეშვეობით.

MERCY CORPS

ამ მიზნის მისაღწევად რეკომენდაციები ითვალისწინებს ...

3. ხელი შეუწყოს *დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებს*, რათა აღასრულონ, მართონ და *მხარი დაუჭირონ გიზნეს სექტორს და ტექნოლოგიებს*, რათა უზრუნველყონ *ეფექტური, პრაქტიკული და ხელმისაწვდომი სამუალებები* (მათ შორისაა არასამართლებრივი მხარდაჭერა) და ასევე უზრუნველყონ სათანადო პროცესის მექანიზმები TFGBV-ისგან გადარჩენილთათვის.

ამ მიზნის მისაღწევად რეკომენდაციები ითვალისწინებს ...

4. მოითხოვეთ *გამჭვირვალობა* *ბიზნესის სექტორისა და ტექნოლოგიებისგან*, რომლებიც დაკავშირებულია *დაპროექტების პროცესებთან* და შინაარსის მოდერაციასთან (პლატფორმების შემთხვევაში), ასევე მონაცემთა უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობასთან.

ამ მიზნის მისაღწევად რეკომენდაციები ითვალისწინებს ...

5. დაავალოს და აღასრულოს კანონები და რეგულაციები, რომლებიც მოითხოვს და წაახალისებს კერძო ტექნოლოგიურ კომპანიებს, პროაქტიულად შეიმუშაონ, შეინარჩუნონ და განახორციელონ პოლისები, რათა შერბილდეს TFGBV-ის შემთხვევები მთელი რიგი პროცესების მეშვეობით, მათ შორის:

1) *ხილული*, ადვილად მისაწვდომი, უბრალო ენაზე საჩივრისა და მავნე კონტენტის შესახებ ანგარიშგების მექანიზმები, მათ შორის საბოლოო მომხმარებლის ადგილობრივ ენებზე;
2) *ეფექტური შიდა სორტირებისა და საჩივრების ესკალაციის* უზრუნველყოფა;
3) *ქმედითი შიდა პროტოკოლები სამართალდამცავ და დამხმარე სამსახურებთან* დასაკავშირებლად და *ცხელ ხაზებთან უკანონო* კონტექსტთან დაკავშირებულ საკითხებთან;
4) *ეფექტური შიდა პროტოკოლები* სამართალდამცავ ორგანოებთან, მხარდამჭერ სერვისებთან და ცხელ ხაზებთან დასაკავშირებლად არაკანონიერ კონტექტთან დაკავშირებით;
5) მომხმარებლის თანხმობის ფორმის გაუმჯობესება რეგისტრაციის დროს მომხმარებლების, სერვისებისა და მესამე პირებს შორის სოციალური კონტრაქტების გამოყენებით;
6) *მოთხოვნა ტრენინგზე* ყველა პერსონალისთვის, რათა *აიმაღლონ ცნობიერება* მათი როლის შესახებ *TFGBV-სთან* დაკავშირებულ მავნე შინაარსის მონიტორინგსა და აღმოფხვრაში
7) *დამოუკიდებელი აუდიტის* უზრუნველყოფა და *გამჭვირვალობის ყოვლისმომცველი წლიური ანგარიშების* გამოქვეყნება, გენდერულად დაყოფილი მონაცემების ჩათვლით, რომელიც შეეხება პოლისების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

MERCY CORPS

ამ მიზნის მისაღწევად რეკომენდაციები ითვალისწინებს ...

6. *ძალისხმევა TFGBV-ის აღმოფხვრელად შესაბამისი კანონის და პოლისის მეშვეობით*, არ უნდა იყენებდეს *გენდერული სიძულვილის ენას* და *დეზინფორმაციას*, როგორც საბაბი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნით, არამედ, რაც ნებადართულია *საერთაშორისო სამართლის* მიხედვით. ეს *მოითხოვს გამოხატვისა და აზრის თავისუფლების გენდერულად მგრძნობიარე ინტერპრეტაციას.*

ამ მიზნის მისაღწევად რეკომენდაციები ითვალისწინებს ...

7. განიხილონ კერძო ტექნოლოგიური კომპანიების წახალისება, რათა გამოხატონ მეტი სტიმული თავიანთი სერვისებით მოსარგებლე ქალებისა და გოგონების დაცვაში და მათ აქტიურ ხელშეწყობაში.

ჯაშუშური აპლიკაციები

1.FlexiSPY
2.mSpy - არის მობილური და კომპიუტერის მშობელთა კონტროლის მონიტორინგის პროგრამული უზრუნველყოფის ბრენდი iOS, Android, Windows და macOS-ისთვის. აპლიკაცია საშუალებას აძლევს მომხმარებლებს დააკვირდნენ და დაარეგისტრირონ აქტივობა კლიენტის მოწყობილობაზე
3.Spyzie - აკონტროლებს: SMS, ჩეთები, ზარები, GPS - მყისიერად და დისტანციურად თვალთვალის ტელეფონს მისი ნომრის მიხედვით
4.Hoverwatch- mSpy იდეალურად მუშაობს ორივე ოპერაციულ სისტემაზე, ხოლო Hoverwatch ხელმისაწვდომია მხოლოდ Android მოწყობილობებზე
5.Highster Mobile
6.MobileSpy
7.TheTruthSpy
8.XNSPY
9.Spyic
10.Cocospy

MERCY CORPS

1. გამოდით ანგარიშიდან და აპლიკაციიდან
2. გამოიყენეთ ძლიერი კოდი
3. გადახედეთ ინფორმაციას კონფიდენციალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით
4. მინიმუმამდე დაიყვანეთ ლოკაციის გაზიარება
5. არ ჩაწეროთ ადგილმდებარეობის კოორდინატები სურათებში
6. იზრუნეთ იმაზე, რომ სოციალური მედია ანგარიშები ერთმანეთს დაუკავშიროთ
7. დაუკვირდით, როდესაც იყენებთ უფასო უსადენო ინტერნეტ ქსელებს
8. გამოიყენეთ HTTPS ყველგან
9. გამოიყენეთ ეს მექანიზმები: Use Incognito, Private Browsing, or InPrivate Browsing
10.. გამოიყენეთ ერთზე მეტი ელექტრონული ფოსტის მისამართი

MERCY CORPS

ონლაინ კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების რჩევები
ანგარიშების რეგისტრაცია

- შექმენით *ელექტრონული ფოსტის მისამართები* და *მომხმარებლის სახელები*, რომლებიც *არ შეიცავს საიდენტიფიკაციო ინფორმაციას*, როგორიცაა თქვენი სრული სახელი ან დაბადების თარიღი/წელი.

- *გამოიყენეთ სხვადასხვა მომხმარებლის სახელები და პროფილის სურათები თითოეული საიტისთვის* და გქონდეთ ერთზე მეტი ელფოსტის ანგარიში სხვადასხვა მიზნებისთვის, როგორიცაა სამსახურის, სკოლის და სოციალური ჯგუფების ცალცალკე. თქვენ ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა სურათი, რომელიც არ არის თქვენი პროფილის ფოტო.

- *ფრთხილად იყავით პერსონალური ინფორმაციის გაზიარებაზე*, რაც არ არის საჭირო ანგარიშის შესაქმნელად ან პროფილის შესაქმნელად. ზოგჯერ საიტები არ ცხადყოფენ, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არასავალდებულოა, ამიტომ დააკვირდით ყოველ დეტალს!

- *დააწკაპუნეთ „არა“-ზე*, როდესაც საიტები ან აპები გთავაზობენ თქვენი კონტაქტების სიის შემოწმებას, რათა დაგეხმაროთ თქვენს მეგობრებთან დაკავშირებაში უკვე მათივე საიტზე.

- *გამორთეთ თქვენი პროფილის საძიებელი ოფცია* თავად საიტზე და ზოგადი ძიების პლატფორმის მეშვეობით Google-ის სახით.

MERCY CORPS

ონლაინ კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების რჩევები

პაროლები

- *საუკეთესო პაროლები* შედგება მინიმუმ 12-15 სიმბოლოსგან და შეიცავს ასოებს, ციფრებს და სიმბოლოებს.
- გამოიყენეთ *სხვადასხვა პაროლები ანგარიშებისთვის*, რომლებიც შეიცავს სენსითიურ ან პირად საიდენტიფიკაციო ინფორმაციას.
- *გადით სისტემიდან, როდესაც დაასრულებთ და უარი თქვით*, როდესაც გკითხავენ, *გსურთ თუ არა მოწყობილობამ*, ბრაუზერმა, საიტმა ან აპმა დაიმახსოვროს თქვენი პაროლი.
- *წაიკითხეთ მეტი პაროლის უსაფრთხოების შესახებ.*

კონფიდენციალობის პარამეტრები და პოლისები

წაიკითხეთ კონფიდენციალურობის პარამეტრების სახელმძღვანელო, რომელსაც ახლა გთავაზობთ ბევრი სოციალური მედიის საიტი და შეცვალეთ თქვენი კონფიდენციალურობის პარამეტრები თქვენი საჭიროებებისდა მიხედვით. აქ მოცემულია რამდენიმე ძირითადი საიტის კონფიდენციალურობის სახელმძღვანელოს ბმული:

- Safety@Facebook
- WhatsApp უსაფრთხოების რჩევები
- ინსტაგრამის უსაფრთხოების ცენტრი
- უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა Twitter-ზე: სახელმძღვანელო შევიწროებისა და შეურაცხყოფის შედეგად გადარჩენილთათვის
- Google უსაფრთხოების ცენტრი
- TikTok უსაფრთხოების ცენტრი
- როგორ ვიყოთ უსაფრთხო Snapchat-ზე

წაიკითხეთ აპებისა და საიტების კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რათა გაარკვიოთ, კიდევ ვის აქვს წვდომა თქვენს ინფორმაციაზე და როგორ შეუძლიათ მიიღონ ისინი. ბევრი საიტი და აპი გააზიარებს ინფორმაციას, თუ ისინი მიიღებენ გამოძახებას ან სასამართლო განკარგულებას, რაც მნიშვნელოვანია ქალებისთვის, რომლებსაც აქვთ ან შეიძლება ჰქონდეთ სასამართლოსთან დაკავშირებული ურთიერთობა იმ პირთან, ვინც მათზე ძალადობდა ან განაგრძობდა მათ დევნას.

წაიკითხეთ მეტი კონფიდენციალურობის მოსაზრებების შესახებ კონტენტის ონლაინ გამოქვეყნებისას.

MERCY CORPS

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მუხლი 9

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის, სიწდისისა და ◆რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე, თავისუფლებას იმისა, რომ ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაამჟღავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გამჟღავნების თავისუფლება მხო ლოდ იმ პირობით შეიზღუდება, თუ ასეთი შეზღუდვა გათვალისწიწებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 10

გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

MERCY CORPS

როგორ მოვიქცეთ, თუკი შანტაჟის მსხვერპლი გავხდით

როდესაც, ერთი შეხედვით, გამოუვალ მდგომარეობაში ვვარდებით, რთულია იმის დანახვა, თუ როგორ მოქცევა სჯობს. აი, რამდენიმე რჩევა, რომელიც შეიძლება ასეთ სიტუაციაში ყოფნისას გამოგადგეთ:

- **არ ნაშალოთ არაფერი!** შესაძლოა, ეს თქვენი პირველი ინსტინქტი იყოს, მაგრამ ნაშლა არ არის კარგი იდეა. როგორც კი მტკიცებულებების ნაშლას იწყებთ, მოძალადეს უფრო მეტ ძალაუფლებას აძლევთ.

- **არაფერი არ მისცეთ მოძალადეს!** არავითარი დამატებითი ფოტოები თუ მესიჯები, არავითარი პასუხები მის კითხვებზე — საერთოდ არაფერი. არ ეკონტაქტოთ მას.

- **გაუძელით მოლაპარაკების ცდუნებას.** განურჩევლად იმისა, თუ რამდენად უიმედოდ გრძნობთ თავს, მოლაპარაკებას ნუ დაიწყებთ. ეს მოძალადესთან თანამშრომლობის მზაობაზე მეტყველებს.

- **მზად იყავით მოვლენების ყველაზე ცუდი განვითარებისთვის.** იმაზე დაფიქრება, თუ როგორ შეიძლება ინფორმაციის გაჟონვამ იმოქმედოს თქვენზე და რა რეაქცია გექნებათ ამაზე, ისეთი ნაბიჯია, რომელსაც მოძალადეები არ ელიან — ისინი თავიანთ ქმედებებს მხოლოდ თქვენს შიშზე ამყარებენ. ეს სიტუაციაზე ძალაუფლების დაბრუნების ერთ-ერთი გზაა.

- **სირცხვილის გრძნობის გამო დახმარების თხოვნაზე ნუ იტყვით უარს!** თქვენ მარტო არ ხართ — ასეთი რამ შეიძლება ნებისმიერ ადამიანს შეემთხვეს. ესაუბრეთ თქვენს მეგობრებს, ნათესავებს, მასწავლებლებსა თუ თქვენთვის სანდო სხვა პირებს; დაუკავშირდით პოლიციას ან გაესაუბრეთ ადვოკატს.

https://millab.ge/ka/mil-resources/any/28/any/

MERCY CORPS

გამოყენებული წყაროები

1. UNFPA, 2021 “Technology-facilitated Gender-based Violence: Making All Spaces Safe”
2. https://www.ictworks.org/technology-facilitated-gender-based-violence/
3. https://digitalrightsfoundation.pk/wp-content/uploads/2020/06/Covid-19.pdf
4. GREVIO (Council of Europe Group of Experts on Action against Violence against Women and Domestic Violence) (2021), *General Recommendation No1 on the digital dimension of violence against women*, Council of Europe, Strasbourg, 20 October 2021 (https://rm.coe.int/grevio-rec-no-on-digital-violence-against-women/1680a49147).
5. Van der Wilk, A. (2018), Cyber Violence and Hate Speech Online against Women, European Parliament, Policy Department for Citizens’ Rights and Constitutional Affairs, Brussels (https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/604979/IPOL_STU(2018)604979_EN.pdf).
6. 3 Lomba, N., Navarra, C., and Fernandes, M. (2021), Combating Gender-based Violence: Cyber violence – European added value assessment, European Parliamentary Research Service, Brussels (https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2021/662621/EPRS_STU(2021)662621_EN.pdf).
7. 4 EIGE (European Institute for Gender Equality) (2020), Gender Equality Index Report, Vilnius https://eige.europa.eu/publications/gender-equality-index-2020-report).
8. 5 GREVIO (Council of Europe Group of Experts on Action against Violence against Women and Domestic Violence) (2021), General Recommendation No1 on the digital dimension of violence against women, Council of Europe, Strasbourg, 20 October 2021 (https://rm.coe.int/grevio-rec-no-on-digital-violence-against-women/1680a49147).
9. 6 EIGE (2018), Gender equality and digitalization in the European Union, Vilnius (https://eige.europa.eu/publications/gender-equality-and-digitalisation-european-union).
10. https://millab.ge/ka/mil-resources/any/28/any/

MERCY CORPS

11. Georgia: General Policy And Legislation On Cybercrime: Convention on Cybercrime https://police.ge/files/pdf/kiber_danashauli/Cybercrime_Convention_ENG.pdf
12. Armenia: Cybercrime policies/strategies.
13. https://www.coe.int/en/web/octopus/-/armenia
14. Council of Europe: YOUR DIGITAL RIGHTS IN BRIEF. https://rm.coe.int/1680301b6e
15. Internet Freedom and Digital Rights in Georgia: Systemic Challenges.
16. https://idfi.ge/en/internet_freedom_and_digital_rights_in_georgia
17. Internet Freedom in Armenia and Execution of Basic Human Rights in Online Freedom.
18. https://mediainitiatives.am/wp-content/uploads/2018/03/Internet-Freedom-Research-Report-2017-in-English.pdf
19. The internet as a human right.
20. https://www.brookings.edu/articles/the-internet-as-a-human-right/



დიდი მადლობა ყურადღებისთვის!

MERCY CORPS

https://www.youtube.com/watch?v=zLtfoCw16Z0&t=19s